

FOR A SUITABLE UNDERSTANDING OF SOME PASSAGES OF THE  
GEORGIAN CHRONICLES (KARTVELTA TSKHOVREBA)

ქართველთა ცხოვრების ზოგიერთი ადგილის  
სწორად გაგებისათვის

**Manana Sanadze**

Doctor of Historical Sciences,  
Professor of the University of Georgia,  
Tbilisi, Georgia  
ORCID: ID 0000-0002-9921-322X  
(+995) 599292317; msanadze@ug.edu.ge

**Abstract**

A remarkable monument of medieval Georgian historiography, *The Life of Georgians*, the same as *The Georgian Chronicles* ('*Kartlis Tskhovreba*'), which narrates the history of Georgia from ancient times to the end of the 17th century, has always been the subject of unremitting attention of Kartvelologists. Textual research is one of the problems of scientific study of '*Kartlis Tskhovreba*', which, from the beginning of the XVIII century to present, has had several important stages, each celebrated by academic editions of the text. The studies in this context are continuing.

We offer the reader our opinion about the restoration or correction of some parts of old *Life of Georgians* (a word, a phrase, a sentence or a longer passages), based on the results of a comparison of differences in reading the manuscripts, as well as analysis of historical realities and content analysis of the text. Thus, the suitability of some restorations made in earlier editions, which were never used in later editions, was confirmed; More than one passage, distorted in the manuscripts and not quite correct in the later publications (for example, information about the borders of *Kukheti*, one of the historical regions of Georgia, or territorial boundaries of the divided parts of the Kingdom of *Kartli*, etc.), has been corrected.

**Key words:** Old *Life of Georgians*, editions of *The Life of Georgians*, textual research, differences in reading, content analysis.

## მანანა სანაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი,  
თბილისი, საქართველო  
ORCID ID: 0000-0002-9921-322X  
(+995) 599292317; msanadze@ug.edu.ge

### აბსტრაქტი

შუასაუკუნოვანი ქართული ისტორიოგრაფიის ღირსშესანიშნავი ძეგლი - *ქართველთა ცხოვრება*, იგივე *ქართლის ცხოვრება*, სადაც გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVII ს. მიწურულამდე, ყოველთვის იყო და არის ქართველოლოგთა შეუწელებელი ყურადღების საგანი. ქართველთა ცხოვრების მეცნიერული შესწავლის პრობლემატიკაში სათანადო ადგილს იკავებს ტექსტოლოგიური კვლევა, რომელმაც XVIII ს. დასაწყისიდან დღემდე რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო და თითოეული მათგანი ტექსტის აკადემიური გამოცემებით აღინიშნა. ამ მიმართულებით კვლევა გრძელდება.

მკითხველს ვთავაზობთ *ძველი ქართველთა ცხოვრების* ზოგიერთი ადგილის (სიტყვის, ფრაზის, წინადადების თუ უფრო ვრცელი მონაკვეთის) აღდგენისა და გამართვის შესახებ ჩვენს მოსაზრებებს, რომელიც ემყარება ხელნაწერთა კითხვასხვაობების შეჯერების, ისტორიული რეალიებისა და ტექსტის შინაარსობრივი ანალიზის შედეგებს. ამ გზით დადასტურდა ადრეულ გამოცემაში განხორციელებული ზოგიერთი აღდგენის მართებულობა, რომელიც შემდგომ გამოცემებში არ იქნა გაზიარებული; გასწორდა არა ერთი ისეთი ადგილი, რომელიც ხელნაწერებში დამახინჯებულია და არც გამოცემებშია ბოლომდე გამართული (მაგ. ინფორმაცია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული რეგიონის კუხეთის საზღვრების შესახებ, ქართლის სამეფოს ორად გაყოფილი ნაწილების ტერიტორიული ფარგლების შესახებ და სხვა).

**საკვანძო სიტყვები:** ძველი ქართველთა ცხოვრება, ქართველთა ცხოვრების გამოცემები, ტექსტოლოგიური კვლევები, კითხვასხვაობები, შინაარსობრივი ანალიზი.

### შესავალი

ჩვენამდე *ძველი ქართველთა ცხოვრების* ხუთმა ხელნაწერმა მოაღწია, აქედან ორი ჰიბრიდულია (ასე ვუწოდებთ ნუსხებს, რომლებიც აერთიანებენ ძველი და ახალი ქართველთა ცხოვრების ტექსტებს – მაჩაბლისეული - m (საადრიცხოვ № H 2135) და ჭალაშვილისეული - C (საადრიცხოვ № Q 207). ეს ხუთი ნუსხა ორ რედაქციას ქმნის. ცალკე ნუსხა და იმავდროულად რედაქციაცაა ქართველთა ცხოვრების ძველი სომხური თარგმანის (აბულაძე, 1953) ქართული დედანი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა მასზე წარმოდგენას აღნიშნული თარგმანი გვიქმნის (არახამია, 2002: 120-125). როგორც ზოგადად ხელნაწერი ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი,

ყველა ნუსხა ხარვეზებს შეიცავს: ამოვარდნილია წინადადებები და მთელი მონაკვეთები, შეცდომებია დაშვებული როგორც ქარაგმების გახსნაში, ისე ნუსხურიდან მხედრულად გადმოწერისას (ამ ნუსხების თავდაპირველი დედანი ნუსხურად იყო დაწერილი) და ა. შ. მთელ რიგ შემთხვევებში აზრი იმდენადაა დამახინჯებული, რომ ტექსტის საგანგებოდ აღდგენის გარეშე აზრის გამოტანა ძნელდება. საქართველოს ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ისტორიისათვის ამ უმნიშვნელოვანესი თხზულების გამართვა პირველად ვახტანგ VI-მ განიზრახა და ამისათვის მეცნიერ კაცთა კომისიაც შექმნა. კომისიამ ქართველთა ცხოვრების ტექსტის გასწორება-რედაქტირების მიმართულებით გრანდიოზული სამუშაო ჩაატარა, თუმცა, ბუნებრივია, როგორც ყველა დიდ ნამუშევარს, მათ ნაშრომსაც შეცდომები ახლავს (იხ: გრიგოლია, 1954:364; ყაუხჩიშვილი, 1955:025; არახამია, 2017:3-48).

ვახტანგის კომისიამ ტექსტის გამართვის ერთ-ერთი, კარგად ცნობილი, კომპილაციური მეთოდი გამოიყენა, მან საფუძვლად აიღო ქართველთა ცხოვრების ყველაზე სრული ნუსხები, რომლებიც *თხზულების* ორ, განსხვავებულ მცხეთურ და ანასეულ რედაქციას განეკუთვნებიან - ე. წ. მარიამისეული ნუსხის პირი (ქვემოთ ვუთითებთ: M). მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ნუსხა მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაწერილი ნუსხის პირი იყო (იხ. ქურციკიძე, 1993: 109-122), მაგრამ მას სახელი მარიამისეული ნუსხა, მაინც შერჩა. ე. წ. ანასეული ნუსხის პირი (ქვემოთ ვუთითებთ: A), ჭალაშვილისეულად და მაჩაბლისეულად წედებული ნუსხების ძველი ნაწილები, რომლებიც მის დროს, ისევე როგორც ანასეული ნუსხის პირი ჯერ კიდევ სრული სახით არსებობდა და თხზულების გამართულ-შესწორებული ვერსია შექმნა. ტექსტის ამ გამართვა-შესწორებისას დამატებით გამოიყენა ქართველთა ცხოვრების მის ხელთ არსებული არაერთი სხვადასხვა სისრულის ხელნაწერი, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ; ამ ხელნაწერების საფუძველზე შეასწორა და გამართა ტექსტი, ამავე დროს კომისიამ თბრობაში შეიტანა სხვადასხვა წყაროებიდან ამოღებული ახალი მასალა (პეტრე ქართველის ცხოვრება, ვრცელი თხრობა ასურელი მამების შესახებ და სხვ.), რომელიც ძველ ქართველთა ცხოვრებაში არ იყო, ან იყო მოკლე ინფორმაციის სახით (მაგალითად, ასურელი მამების მოღვაწეობის შესახებ). ვახტანგ VI-ს კომისიის ნამუშევრის ბეჭდური სახით გამოცემა არ დასცალდა, თუმცა ტექსტის შემდგომი გამოცემები ამ ნამუშევარს მნიშვნელოვანწილად დაეფუძნა და ვახტანგისეული კომისიის აღდგენების უმეტესი ნაწილიც გაიზიარა, თუმცა ზოგი ამას აღნიშნავს და ზოგოც არა. ქვემოთ აღნიშნული გამოცემის ტექსტით სარგებლობისას ვიყენებთ გ. არახამიას მიერ 2017-2020 წლებში განხორციელებული სამტომეული გამოცემის I ტომს (გამოიცა 2017 წ.), რომელსაც სიმოკლისათვის ვუთითებთ, როგორც: V.

მთლიანად ვახტანგისეულ ნუსხებს დააფუძნეს *ქართველთა ცხოვრების* პირველი სტამბური გამოცემა მ. ბროსემ და დ. ჩუბინოვმა, მით უფრო, რომ იმხანად ვახტანგამდელი, ანუ *ძველი ქართველთა ცხოვრების* ნუსხები ჯერ აღმოჩენილიც არ იყო (ბროსე, 1849; ჩუბინოვი, 1854).

ჯერ კიდევ 1906 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა განახორციელა *ქართველთა*

*ცხოვრების* მარიამისეული ნუსხის დიპლომატიკური გამოცემა (გამეორდა მისი ნაშრომების მრავალტომეულის მე-6 ტომში 2018 წ.), რაც ყოველგვარი გასწორების გარეშე ნუსხის არსებული ფორმით გამოქვეყნებას გულისხმობს; 1942 წ. გამოქვეყნდა სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ მომზადებული ანასეული ნუსხის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი.

ვახტანგამდელი *ძველი ქართველთა ცხოვრების* ნუსხების აღმოჩენის კვალდაკვალ, დღის წესრიგში, მათი შეჯერებული, აკადემიური გამოცემის საკითხი დადგა, რაც ს. ყაუხჩიშვილმა განახორციელა ორ ტომად 1955 წ. და 1959 წ. ეს გამოცემაც აღდგენების დიდ ნაწილში ვახტანგისეულ რედაქციას ეფუძნება. იმავდროულად კითხვა-სხვაობებში მითითებულია, თუ რომელი ვახტანგისეული ნუსხიდან მოდის ესა თუ ის აღდგენა.

ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის უმთავრესი სიახლე იყო ის, რომ, როგორც ძირითად ტექსტში, ისე კითხვა-სხვაობებში გათვალისწინებულია ძველი და ახალი *ქართველთა ცხოვრების* ნუსხათა ჩვენებები - *ქართველთა ცხოვრების* სხვადასხვა ნუსხის ურთიერთშედარების შედეგად, რედაქტორთა თვალსაზრისით, შერჩეულ სწორ ფორმას, ახლავს სქოლიოში ნუსხების მიხედვით მოყვანილი კითხვა-სხვაობები.

ს. ყაუხჩიშვილის მიერ განხორციელებულ გამოცემაში გათვალისწინებულ იქნა ტექსტის დადგენის მიმართულებით ისტორიოგრაფიაში მანამდე წარმოებული კვლევები, არაერთი შერყვნილი ადგილი გასწორდა (რომელიც ვერ, ან მცდარად გაასწორა ვახტანგის კომისიამ). გამოცემაში პირველად მთელი სისრულით წარმოჩნდა და მკვლევართა თვალწინ გადაიშალა თხზულების განსხვავებულ რედაქციათა და ნუსხათა თავისებურებების ფართო სპექტრი, მათ შორის წარმოჩნდა სისტემური, ყველა ხელნაწერისათვის დამახასიათებელი შეცდომებიც.

1996 წ. ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა განახორციელეს *ქართველთა ცხოვრების* ახალი გამოცემა. ტექსტის გამართვის მიმართულებით გამოცემა წინააღმდეგობრივი ნაბიჯი გამოდგა (გასწორდა რიგი ადგილები), თუმცა გამოცემის ნაკლი ისაა, რომ მას არ ახლავს არც კითხვა-სხვაობები და არც სამეცნიერო აპარატი, რაც ართულებს მის გამოყენებას.

დროთა განმავლობაში თხზულების არაერთი ადგილის ახლებური ინტერპრეტირება მოხდა, რიგი ტერმინები და სახელები დაზუსტდა. ძველის ახალი გამოცემის საჭიროებაც დღის წესრიგში დადგა. სხვადასხვა დროს განხორციელდა *ქართველთა ცხოვრების* ცალკეული მონაკვეთების (მაგ., *სუმბატ დავითის-ძის თხზულების, მატიანე ქართლისად წოდებული მონაკვეთის, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის, ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის, პირობითად ჟამთააღმწერელად წოდებული მემატიანის მონღოლობის ხანის ქრონიკის (ასწლოვანი მატიანე) და სხვა მონაკვეთების) გამოცემა. ამათგან ზოგი მონაკვეთი არა ერთხელ გამოიცა. ეს გამოცემები სრულადაა აღნუსხული *ქართველთა ცხოვრების* 2008 წლის გამოცემაში და ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ (მეტრეველი, 2008:732-735). ამ გამოცემების განმახორციელებლებმა ტექსტის არაერთი ადგილი უკეთ გამართეს.*

*ძველი ქართველთა ცხოვრების* ცალკეული მონაკვეთების გამოცემა,

ბუნებრივია, ვერ შეცვლიდა სრული ტექსტის ახალ დონეზე, დაგროვილი კვლევების გათვალისწინებით, გამოცემის საჭიროებას, რაც განხორციელდა კიდეც 2008 წ.

წინამდებარე სტატიაში *ქართველთა ცხოვრების* მხოლოდ დასაწყისი ნაწილით (*მატიანე ქართლისად წოდებულ მონაკვეთამდე*) შემოვიფარგლებით. აღნიშნული მონაკვეთი 2008 წლის გამოცემაში ოთხი მკვლევრის მიერაა წარმოდგენილი: მ. ქავთარია, ე. ცაგარეიშვილი, ზ. სარჯველაძე და ს. სარჯველაძე. ქვემოთ ყველგან, აღნიშნულ გამოცემას, მისი გამოცემის თარიღის მიხედვით, 2008 წლის გამოცემად მოვიხსენიებთ. მკითხველს ვთავაზობთ *ძველი ქართველთა ცხოვრების* ზოგიერთი ადგილის (სიტყვის, ფრაზის, წინადადების თუ უფრო ვრცელი მონაკვეთის) აღდგენასა თუ გამართვას.

### კვლევის მეთოდი

ვიყენებთ ტექსტზე მუშაობის შედარებით და ანალიტიკურ მეთოდს.

### შედეგი

განვიხილეთ *ქართველთა ცხოვრების* დასაწყისი ტექსტიდან ცამეტი სხვადასხვა მონაკვეთი, სადაც ტექსტი გადამწერთა მიერ შერყვნილია და წარმოვაჩინეთ მათი უკვე გამომცემელთა მიერ მცდარად აღდგენის (ან სულაც არ აღდგენის) შემთხვევები. პარალელურად ვიძლევიტ ცამეტივე მონაკვეთის სწორ წაკითხვას.

### მსჯელობა

#### 1. „ძენი კაცნობისი“ თუ „ძე ნიკტანებისი“?

*ქართველთა ცხოვრების* მარიამისეულ (M) ნუსხაში, რომელსაც ერთადერთს შემოუნახავს უძველესი ისტორიის ამსახველი ნაწილი მამათა ცხოვრება, ალექსანდრე მაკედონელის თითქოსდა ქართლში შემოსვლისადმი მიძღვნილ თხრობაში ვკითხულობთ:

„ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქუიან მაკედონი, ძენი კაცნობისი მეგვპტელისა, ვითარცა წერილ არს ჰამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა“ (S-30: 69v).

აღნიშნულ ტექსტში *ძენი კაცნობისი* სრული გაუგებრობაა. აშკარაა, რომ საუბარია ალექსანდრეზე, რომელიც არის, თვით ტექსტის მიხედვით, საბერძნეთის ქუეყანა (რეგიონი) მაკედონიიდან, თვით ალექსანდრე კი არის რატომღაც „ძენი“ და არა „ძე“ (როგორც, თითქოს, უნდა იყოს), თანაც ვიღაც მეგვიპტელი ანუ ეგვიპტელი კაცნობის.

საქმე ისაა, რომ დიდი ხანია კ. დონდუამ აღნიშნული ადგილი აღადგინა როგორც *ძე ნიკტანებისი* (Дондуа, 1930:202). ეს აღდგენა გაიზიარა და შეიტანა თავის გამოცემაში ს. ყაუხჩიშვილმა (ყაუხჩიშვილი, 1955:17). მართლაც, ვისაც ასე თუ ისე უმუშავია *ქართველთა ცხოვრების* ხელნაწერებზე, დაგვეთანხმება, რომ არც ისე იშვიათია, როდესაც სიტყვა სეგმენტებადაა დაშლილი და პირველი სეგმენტი მიერთებულია წინამავალ

სიტყვას, მაგ. შეიძლება შეგვხვდეს კაცი წავიდა-ს ნაცვლად *კაციწა ვიდა* და სხვ. მსგავსი მრავალი. ასე რომ აქ *ძენი კაცნობისა* კი არა გვაქვს, არამედ *ძე ნიკაცნობისი* - „ესე ალექსანდრე, ძე ნიკაცნობისი“. კი მაგრამ ეს ნიკაცნობი ვინდაა? არ დაგვავიწყდეს, რომ ის თან ეგვიპტელია! სპეციალურ ლიტერატურაში დიდ ხანია გარკვეულია, რომ *ქართველთა ცხოვრების* მხედრულით დაწერილი ნუსხების თავდაპირველი არქეტიპი ნუსხურით იყო დაწერილი. ეს ტრადიცია გრძელდებოდა, რასაც მოწმობს 1697 წლის ნუსხა (Q-1219), რომელსაც გადამწერის მიხედვით, ქვემოთ მაგალობლისძის ნუსხას ვუწოდებთ, (ეს ნუსხა მთლიანად ნუსხა-ხუცურითაა შესრულებული, ისევე, როგორც მე-18 ს-ის დასაწყისში გადანუსხული თეიმურაზისეული). ენობრივი შეცდომების ერთი ნაწილი სწორედ ნუსხური დამწერლობიდან მხედრულად გადმოწერის დროს წარმოიქმნა. გარდა ამისა, ნუსხა- ხუცურში ტ - ქ / ც- ქ ასო-ნიშნები, დაუზიანებელ ხელნაწერშიც კი (არათუ დაზიანებულში), იოლი ასარევია. კ. დონდუამ თითქმის საუკუნის წინ წარმოაჩინა, რომ ამ შემთხვევაში ნიკატნობისი (ნუსხური ტ/ც-ს აღრევა) უნდა გვქონდეს, რომელიც დაქარაგმებული *ნიკტ (ა)ნ(ე)ბ*-ის მცდარად ჯერ ნიკატნობად და შემდგომ ნიკაცნობად ამოკითხვის შედეგია (Дондуа, 1930:202; Дондуа, 1967:122-123, სქოლიო 2). დაქარაგმებისას ყველაზე ხშირად სწორედ ხმოვნებს არ წერდნენ და მათი აღდგენა ანუ ქარაგმის გახსნა შეცდომის კიდევ ერთი, დიდი წყაროა. ცნობილია, რომ ნიკტანები ეგვიპტის ბოლო მეფე იყო. გადმოცემის თანახმად, რომელიც ფსევდო-კალისტენემ თავის ალექსანდრიანაში გააჟღერა და შემდგომ, ამ თხზულების ქართულად თარგმნის კვალობაზე, ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების გასაყარზე ქართული განათლებული საზოგადოებისათვისაც ცნობილი გახდა (ინფორმაციის ფსევდო კალისტენეს თხზულებიდან მომდინარეობის შესახებ იხ. კეკელიძე, 1974:26-28; ინგოროყვა, 1939:106, 153, 232; Меликишвили, 1959:38; მამულია, 1979:152-153), ალექსანდრე მაკედონელი, როდესაც ეგვიპტეში შევიდა, ეგვიპტელმა ქურუმებმა სწორედ ამ ნიკტანების შვილად, ძედ გამოაცხადეს, რათა მის მიერ ეგვიპტის დაპყრობისათვის კანონიერი სახე მიეცათ. ალექსანდრე მაკედონელის *ნიკტანების* ძეობის შესახებ ინფორმაციას სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაციც იცნობს და აჟღერებს თავის *სომხეთის ისტორიაში*, თუმცა ამ თავალსაზრისს არ იზიარებს (ხორენაცი, 1984:112). ეს აღდგენა, 2008 წლის გამოცემაში არ იქნა გათავალისწინებული და კვლავაც ძენი კაცნობის-ად დარჩა.

2. „მცირისა *ალაზნის თავიდგან*“ თუ „მცირისა *ალაზნის [შესარ] თავითგან*“?

2008 წლის გამოცემაში სხვა არანაკლებ უხეშ შეცდომებსაც ვაწყდებით, რასაც ახსნა არ ეძებნება იმის გათვალისწინებით, რომ შეცდომა ჯერ კიდევ ვახტანგის კომისიას ჰქონდა გამოსწორებული და შემდგომში უკვე ყაუხჩიშვილისეულ (1955) და ანთელავა-შოშიაშვილის გამოცემებშიც (1996) მიღებული-გათვალისწინებული. ჰერეთის საზღვრებს მარიამისეული ნუსხა შემდეგნაირად გვაცნობს:

„ხოლო ჰეროსს მისცა: ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა *ალაზნის*

**თავიდან**, ვიდრე ტყე-ტბამდენ, რომელსა აწ ჰქუიან **გოლგოთა**, და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თუისი ჰერეთი“ (S-30: 54v).

ჯერ **გოლგოთას** საკითხი განვიხილოთ. მემატინე გვეუბნება, რომ გოლგოთა მისი თანამედროვე სახელია ადგილისა, რომელსაც ადრე ერქვა **ტყე-ტბა**. ეს ინფორმაცია აშკარას ხდის რომ **გოლგოთა** დამახინჯებული ფორმაა **გულგულასი**. დამახინჯების მიზეზი უ-ს შეკვეცილად (მარტო

„ო“ ასო-ნიშნის მეშვეობით) დაწერა და ნუსხური ლ/თ-ს აღრევა არის, რაც აგრეთვე ხშირია ნუსხურად დაწერილ ტექსტებში. ვახტანგის კომისია ამიტომაც ტოპონიმის სწორ ფორმას **გულგულას** აღადგენს. ასეთი დასახლება დღესაც არსებობს თელავის მახლობლად. სახელი გულგულას აღდგენა 2008 წლის გამოცემამაც გაიზიარა. მცირე ალაზანი იგივე იორია,

„მცირისალაზნისთავითგან“ (2008წლისგამოცემაშიალაზნისთავითგან ერთ სიტყვად წერია) ივრის თავს, სათავეს ნიშნავს. ასეთი განმარტებით, ჰერეთი ყოფილა ქვეყანა ივრის სათავესა (მცირის ალაზნის თავი) და თელავს შორის, რაც სწორი იქნებოდა კახეთის შემთხვევაში, მაგრამ არა ჰერეთის, რომლისთვისაც თელავი უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარია და არა სამხრეთი. მარიამისეული ნუსხის ეს შეცდომა გამოსაწორა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ვახტანგის კომისიამ და გაიზიარა ს. ყაუხჩიშვილმა, ისევე როგორც ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა. ზემოთ მოყვანილი ამონარიდი გასწორებულ ვერსიაში შემდეგნაირად ჟღერს:

„ხოლო ჰეროსს მისცა: ქუეყანა მტკუურისა ჩრდილოთ, **მცირისა ალაზნის [შესარ]თავითგან**, ვიდრე ტყე-ტბამდენ, რომელსა აწ ჰქუიან **გ[ულ]გ[ულ]** ა, და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თუისი ჰერეთი“ (ყაუხჩიშვილი, 1955:6; ანთელავა & შოშიაშვილი, 1996:38).

2008 წლის გამოცემამ ძირითად ტექსტში კვლავ M ნუსხის ნაკლული ვერსია დატოვა, რაც, ვფიქრობთ, გამართლებული არაა: ასე ხომ ჰერეთის სრულიად ახალ მდებარეობას ვიღებთ - ივრის სათავესა და თელავს შორის!

### **3. კუხეთის საზღვრები**

ტიპოლოგიურად მსგავსი შეცდომა სხვაც გვაქვს. *ქართველთა ცხოვრების მარიამისეულ* (M) ნუსხაში ვკითხულობთ:

„ხოლო **კახოსს მისცა** ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა ეგრითგან ვიდრე თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“.

შემდეგ კი წერია: „ხოლო **კახოს[ს] მისცა**“ ... (S-30: 57v)

თხზულების ეს მონაკვეთი ერთადერთი, M ნუსხით მოვიდა ჩვენამდე, ამიტომ საკონტროლო ტექსტად ამ შემთხვევაში მხოლოდ ვახტანგისეული რედაქცია გვაქვს. პირველი შეცდომა მაინც იოლი მისახვედრია - საუბარი კუხეთზე უნდა იყოს და არა კახეთზე, ვინაიდან კახეთის განმარტება შემდგომ მოდის. ამდენად სიტყვა **კახოსს**-ში ა-ს ნაცვლად უ-ს აღდგენა ეჭვს არ იწვევს (ვახტანგის კომისია ასეც იქცევა). მეორე შეცდომაც ასევე თვალში საცემია: ვახტანგის კომისია სწორად აღადგენს **არაგვითგან**-ს ტექსტისეული აშკარად მცდარი **ეგრითგან**-ის ნაცვლად. მესამე შეცდომაც აგრეთვე ვახ-

ტანგის მეცნიერმა კაცებმა შენიშნეს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ აღმოფხვრეს: ვიდრე-სა და თავადმდე-ს შორის კომისიამ სავსებით სწორად აღადგინა ტოპონიმ ჰერეთის სახელწოდება, მაგრამ შემდგომი სიტყვა „თავადმდე“, მცდარად, კახეთის მთას (იგივე გომბორის ქედი) მიაკუთვნა. ასეთი გაგებიდან გამომდინარე ჰერეთი „მდე“ თანდებულით აღადგინა, რის გამოც მომდევნო სიტყვა „მთასა“-ში „ა“ ასონიშნის „ი“-თ შეცვლა („მთისა“) მოუწია. ასე მივიღეთ შემდეგი წაკითხვა:

„ხოლო კ[უ]ხოსს .... მისცა [არაგვი]თგან ვიდრე [ჰერეთამდე], თავადმდე მთ[ი]სა კახეთისასა და მტკუარსა შუა“ (არახამია, 2017:25)

სამწუხაროდ, წინადადება მაინც გაუგებარი დარჩა, მართლაცდა, რას ნიშნავს „თავადმდე მთისა კახეთისასა და მტკუარს შუა“, ანუ თანამედროვე ქართულით - „კახეთის მთის დასაწყისამდე და მტკუარს შორის“? წინადადების გაუმართაობა და რაღაცის ნაკლებობა ს. ყაუხჩიშვილმა იგრძნო და თავის გამოცემაში აღნიშნულ ადგილას მრავალწერტილი დასვა, თანაც თავადმდე-ს წინ შესარ დაუმატა, ამგვარად მივიღეთ:

„ხოლო კ[უ]ხოსს ..... მისცა [არაგვი]თგან ვიდრე [ჰერეთამდე, ...შესარ] თა - ვადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“ (ყაუხჩიშვილი, 1955:9).

ამგვარად „რაღაცის ნაკლებობის“ შეგრძნება დაიძლია, თუმცა ამოუკითხავი მონაკვეთი მრავალწერტილის სახით და კითხვა, თუ რისი შესართავი იგულისხმებოდა ძველ ტექსტში - დარჩა. წინადადების ეს ვერსია გაიმეორა და გაიზიარა 1996 წ-ის ანთელავა-შოშიაშვილის გამოცემამაც. 2008 წლის გამოცემა კვლავ ვახტანგისეული კომისიის წაკითხვას იმეორებს (მეტრეველი, 2008:29).

ამ ადგილის სწორი წაკითხვა შემდეგია: ტოპონიმი „ჰერეთი“ უნდა აღდგეს „მდე“ თანდებულის გარეშე სწორ, ნათესაობით ბრუნვაში - ჰერეთის:

„ხოლო კ[უ]ხოსს .... მისცა [არაგვი]თგან ვიდრე [ჰერეთის] თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“.

ასე ყველაფერი თავის ადგილას დგება - კუხეთის კუთვნილი ტერიტორია არის მდ. არაგვიდან (სათავიდან) მოყოლებული ჰერეთის თავამდე ანუ დასაწყისამდე, კახეთის მთასა და მტკუარს შორის. აქვე უნდა დავაზუსტოთ კახეთის მთის მნიშვნელობა, რომელიც დ. მუსხელიშვილს, დღევანდელი იალნო-ზედაზნის ქედი ჰგონია (მუსხელიშვილი, 1966:9). კონტექსტიდან სრულიად აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში, აღნიშნული მონაკვეთის ავტორი-მემატთანე იმ ქედს გულისხმობდა, რომელსაც დღეს გომბორის ქედს ვუწოდებთ! კახეთის მთის მუსხელიშვილესეული განსაზღვრებით, როგორც თვითონაც აღნიშნავს, გამოდის, რომ კუხეთის აღმოსავლეთის საზღვარი ტექსტში, ასე ვთქვათ, გამოტოვებულია: „ამდენად, კუხეთი არის ტერიტორია, რომელიც დასავლეთიდან ისაზღვრება არაგვით, ჩრდილოეთიდან იალნო-ზედაზნის ქედით, ხოლო სამხრეთიდან - მტკვრით. აღმოსავლეთი საზღვარი ძველ წყაროებში არ არის მითითებული“ (მუსხელიშვილი, 1967:58). სინამდვილეში, ასე არ არის! მემატთანე გვისახელებს ოთხივე მხრიდან საპირისპირო წერტილებს, ორად დაწყვილებულს: პირველი გეოგრაფიული წყვილია: მდ. არაგვი და მის



საპირისპიროდ ჰერეთის თავი, ანუ ჰერეთის დასაწყისი; მეორე საპირისპირო გეოგრაფიული წყვილია მდ. მტკვარი და კახეთის მთა. ამ შემთხვევაში არაგვი დასავლეთის საზღვარი კი არაა, ის კუხეთს ჩრდილოეთიდან საზღვრავს, სამხრეთიდან კუხეთი ჰერეთით ისაზღვრება, დასავლეთიდან მტკვრით, და აღმოსავლეთიდან კახეთის მთით, იგივე გომბორის ქედით.

კახეთის მთა რომ, მართლაც, დღევანდელი გომბორის ქედია, ამას ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ლეონტიუსული რედაქციაც მოწმობს. ჯვრების აღმართვის სიუჟეტში ნათქვამია, რომ ხალხის ნაწილი გაგზავნეს დასავლეთით, ნაწილი აღმოსავლეთით (ბუნებრივია, იგულისხმება მცხეთასთან მიმართებაში). დასავლეთით თხოთის მთა აღმოჩნდა უკიდურესი წერტილი, საიდანაც მობრუნდნენ გაგზავნილები, აღმოსავლეთით კი კახეთის მთა. თხზულებაში ვკითხულობთ: „და ეგრეთვე მოვიდეს მთით კახეთისით და თქუს: „ვიხილეთ ვარსკულავი აქათ მომავალი და დადგა დაბასა ბუდისა, კუხეთისასა ქუეყანასა. ხოლო მან თქუა:

„განავლინებით კაცნი მათა ზედა მალალთა **აღმოსავლით ვიდრე კახეთის მთამდე**“. აშკარაა, რომ კახეთის მთა მცხეთის აღმოსავლეთითაა და არა ჩრდილოეთით, როგორც იქნებოდა იალნო-ზედაზნის ქედის შემთხვევაში. ის დაჰყურებს კუხეთს და დაბა ბუდისს, რომელიც დღევანდელი ნინოწმინდაა, სადაც დღესაც შემორჩენილია VI ს-ის ტაძრის ნანგრევები.

#### **4. ქართლის სამეფოს ორად გაყოფა**

საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ მონაკვეთზე. მეფე ადრეკის (ადროკი, ადერკი) მიერ შვილებზე ქვეყნის ორად გაყოფის შესახებ თხრობისას მარიამისეულ ნუსხაში ვკითხულობთ:

„ადრეკის ესხნეს ორ ძე რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიგა ქართლი მცხეთა მუხნარით კერძი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოთ ჰურიდგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ეგრისისა ესე მისცა ბარტოს ძესა თუისსა; ხოლო არმაზით კერძი ქალაქი მტკუარსა სამხრით ქართლი ხუნანდგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და კლარჯეთი მისცა ქართამს ძესა თუისსა. და მოკუდა რა ადერ მეფობდა შემდგომად მისსა შვილნი მისნი“ (S-30: 78r-v).

ანასეული რედაქციის ჭალაშვილისეულ ნუსხას *ქართველთა ცხოვრების* საწყისი მონაკვეთი (მეფე ასფაგურამდე) საერთოდაც მოწყვეტილი აქვს, ამავე რედაქციის ანასეულ ნუსხაში კი ეს, ჩვენთვის საინტერესო ადგილი ფრიად დაზიანებულია. ზემოთ მოყვანილ მონაკვეთს პირველი წინადადება საერთოდ აკლია. ტექსტი შემდენიარად გამოიყურება:

„..... და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი ერეთითგან [ვიდრ] ე თავადმდე მტკურისა და ეგრისა. ესე მისცა ბარტამს .... ხოლო არმაზით კერძი ქალაქი მტკუარსა ს[ამხრით ქართლ]ი ყოველი ვიდრე თავადმდე მტკურისა და კლარჯეთი მ[ისცა ქართამს ძე]სა თუისსა. და მოკუდა ადერკი. თერთმეტი. და მეფ[ობდეს ..... შვილნი] მისნი“ (Q-795: 2v).

ვახტანგის კომისიამ ეს ადგილი ასე გამართა:

„ადრეკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ, და რომელთა განუყო ყოველი ქუეყანად თუისი:

**მისცა** ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძი **ქალაქი** და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, **ჰერეთითგან** ვიდრე თავადმდე ქართლისა და **ეგრისისა** - ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თუისსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და **კლარჯეთი** - **ესეყოველი** მისცა ქართამს ძესა თუისსა. და შემდგომად ამისსა მოკუდა მეფე ადერკი, მეფე იქმნა მის წილ ძენი მისნი: მცხეთას დაჯდა ბარტომ და არმაზს ქართამ“ (არახამია, 2017: 51).

გამუქებული მონაკვეთები ვახტანგის კომისიის აღდგენებია.

ს. ყაუხჩიშვილმა ეს მონაკვეთი ვახტანგისეული აღდგენების გათვალისწინებით გამართა და ასე წარმოადგინა:

„ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თვისი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიდა ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა - ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თვისსა. ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თვისსა. და მოკუდა ადერკი“ (ყაუხჩიშვილი, 1955:43).

2008 წლის გამოცემაში ჩვენთვის საინტერესო ტექსტი ასე გამოიყურება:

„ადერკის ესხნეს ორ ძე, რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა, შიდაქართლი, მცხეთა, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთ, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე მტკუარისა და ეგრისისა. ესე მისცა ბარტომს ძესა თვისსა“... (მეტრეველი, 2008:56-57).

როგორც ვხედავთ, 2008 წლის გამოცემა ვახტანგისეულ პირველ ორ აღდგენას არ იზიარებს, თუმცა, ბუნებრივია, მემატინანეს ჯერ შვილების სახელები ეცნობებინა მკითხველისათვის და შემდგომ მათთვის მიცემული ტერიტორიები ჩამოეთვალა. თუმცა ეს საერთო შინაარსის აღქმას ხელს არ უშლის. პირველ შემთხვევაში (**რომელთა** [ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ, **რომელთა**] განუყო) წინადადების ამოვარდნა ძველი ქართლის ცხოვრების ნუსხებში სიტყვების კიდურმსგავსებამ (რომელთა// რომელთა) გამოიწვია, მაგრამ მეორე აღდგენის („ყოველი ქუეყანა თუისი. მისცა“) უგულებელყოფას უკვე შინაარსის გამრუდებამდე მივყავართ.

თუ ტექსტის გამომცემლები ვახტანგის კომისიის მეორე აღდგენას არ გაიზიარებდნენ (ყოველი ქუეყანა თუისი. მისცა...), მაშინ კონტექსტი მოითხოვდა, რომ „განუყოსა“ და „ქალაქს“ შორის ორწერტილი დასმულიყო, თორემ გამოდის, რომ მამა-მეფეს მცხეთაც ორად გაუყვია შვილებისთვის! სავარაუდოდ, ასეც ფიქრობენ გამომცემლები, რომ ერთი მცხეთა - მუხნარით კერძი დარჩა ერთ ვაჟს, ხოლო მეორე, ასე ვთქვათ, არა მუხნარით კერძი დარჩა მეორეს. ასეთ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, თუ რას ნიშნავს „და ქუეყანა მტკუარსა“? არადა მთელი ტექსტი სწორედ იმას გვამცნობს, რომ მცხეთა მტკვრის ჩრდილო მხარითურთ ერთ ვაჟს დარჩა, არმაზი და მტკვრის სამხრეთი მხარე კი მეორეს. გარდა ამისა, არასწორადაა გააზრებული

*მტკუარსა შიგა (შიდა) ქართლის მნიშვნელობა და „მტკუარსა“ და „შიგას“ შორის, რომელსაც გამომცემლები „შიდად“ გარდაქმნიან (ვახტანგის კომისიის გასწორებას იზიარებენ), მძიმეს სვამენ, ასევე სხვადასხვა ქალაქებად მიაჩნიათ მცხეთა და „მუხრანით კერძი ქალაქი“ (სინამდვილეში, ეს ერთი და იგივე ქალაქია). ისინი ფიქრობენ, რომ არის ერთი ქალაქი მცხეთა და მას ორად ჰყოფენ: მუხნარის კერძ ქალაქად და არმაზის კერძ ქალაქად, რაც ამ ქალაქის (მცხეთის) განვითარების არასწორი რეკონსტრუქციაა. „დიდი მცხეთა“, როდესაც არმაზი და სარკინე მისი მხოლოდ უბნებია, ბევრად უფრო გვიანია, სავარაუდოდ (IX-XI სს-ის) რეალობაა, რაც შეეხება ისტორიას, ჯერ იყო ქალაქი არმაზი (იგივე ქართლი) და შემდეგ უკვე მეფობის გაყოფის კვალობაზე (ძვ. წ. I ს-ის შუა წლები) წარმოიქმნება მცხეთა, როგორც მცხეთელ მეფეთა რეზიდენცია (ყოველივე ამას არა მარტო წერილობითი წყაროები, არამედ მცხეთის არქეოლოგიური კვლევაც ასაბუთებს). მართლაც, მოქცევა ქართლისას ქრონიკის მიხედვით, რომელიც უშუალოდ ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრებიდან მომდინარეობს, ქართლის პირველი მეფეები არმაზში სხედან და არმაზს ამაგრებენ და აშენებენ. მცხეთის მშენებლობა იმავე ქრონიკის მიხედვით მხოლოდ რიგით მერვე მეფის, ბრატმან I-ის (ქართველთა ცხოვრების ბარტომ/ბარტამი) დროს იწყება, მაგრამ როდის ხდება მისი გასრულება? სწორედაც ქართლის სამეფოს ორად გაყოფის ხანაში:*

ზ ~. და მეფობდა ბრატმან, რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო.

თ ~. და მეფობდა მირვან. და მან აღაშენა მცხეთად ქალაქი.

ი ~. და მეფობდა როკ, რომელმან რადთურთ მცხეთად გაიშორა და მეფობდა ორად გაიყო: ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ.

მეფე როკი იგივე ადრეკ//ადროკ//არდოკია, რომელიც ანასეულ ხელნაწერში, სავარაუდოდ კი მის პროტოგრაფში, ადერკად იქცა, თუმცა ამავე ხელნაწერში ადროკ ფორმაც გვხვდება. რაც შეეხება M ნუსხას, აქ ორი-სამი გამონაკლისის გარდა სულ ადრეკი გვაქვს (ამ მეფის ქრონოლოგიისათვის იხ, სანაძე, 2001:97-113; სანაძე, 2016:160-170). ანასეული ნუსხის გავლენით ადრეკ ფორმას მიანიჭა უპირატესობა უკვე ვახტანგის კომისიამ და, ფაქტობრივად, დააკანონა. ამგვარად, როგორც ვხედავთ, მცხეთის როგორც ქალაქის დასრულება მეფე არდოკ//ადროკ//როკის დროს ხდება. ამის შემდეგ, ქართლის სამეფოს ორი სატახტო ქალაქი აქვს - მცხეთა, რომელიც არის მუხნარით კერძი ქალაქი და ქართლის მთაზე ძველი დედაქალაქი, რომელიც მცხეთასთან მიმართებაში არის არმაზით კერძი ქალაქი. ეს ბერძნულენოვანი რომაელი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობიდანაც კარგად დასტურდება, რომლის მიხედვით იბერიას ჰქონდა მტკვრის სხვადასხვა, საპირისპირო მხარეს გაშენებული ორი ქალაქი - არმოზიკე (არმაზი) და სევსამორა (წინამური, იგივე გვიანდელი საგურამო-ხერკი). როგორც ვხედავთ, ის ამ ჩრდილოეთის ქალაქს, ანუ მუხნარით კერძ ქალაქს მცხეთის სახელით არც კი იხსენიებს (ყაუხჩიშვილი, 1957:129).

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, ვახტანგის კომისიის აღდგენა „განუყო [ყოველი ქუეყანა თუისი. მისცა]“ გასათვალისწინებელია. მაგრამ, თუ მაინცდამაინც ამ აღდგენის გარეშე გვინდა აზრის დალაგება,

მაშინ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „განუყოსა“ და „ქალაქს“ შორის ორი წერტილი უნდა დავსვათ, „მცხეთასა“ და „მუხნარს“ შორის კი - ტირე:

„ადერკის ესხნეს ორ ძე, რომელთა განუყო: ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიგა ქართლი, მცხეთა - მუხრანით კერძი [ქალაქი] და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოთ, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე მტკვრისა .... ესე მისცა ბარტო[მ]ს ძესა თუისსა“ ...

როგორც ვხედავთ, აქ ერთი და იგივე გეოგრაფიული შინაარსი ორჯერ გვეძლევა სხვადასხვა განმარტებით:

1. ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიგა ქართლი;

2. მცხეთა - მუხრანით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოთ.

ორივე წინადადება ერთსა და იმავეს გვეუბნება განსხვავებული გეოგრაფიული ტერმინოლოგიით. შინაარსის ასეთი გაორმაგებები ქართველთა ცხოვრების საწყის ნაწილში (გგულისხმობთ ტექსტს მატიანე ქართლისადას სახელით ცნობილ მონაკვეთამდე) არც თუ იშვიათია. მიზეზი ისაა, რომ ამ მონაკვეთის ბირთვის ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრება ქმნის, რომელსაც ლეოტი მროველამდე 500 წლიანი პერიოდი აშორებს. ჯუანშერის მოღვაწეობის პერიოდსა და მისეული, არქაული ქართველთა ცხოვრების მოცულობაზე იხ. სანამე, 2001ბ: 122-127 ; სანამე, 2016: 381-386; სანამე, 2019: 91-118 ), ამ 500 წლიან პერიოდში თხზულების განსხვავებული რედაქციები შეიქმნა. ლეონტი კი არაფერს ტოვებს და წინადადებების განხსვავებულ ვერსიებს ერთად კრავს. ესაა მისი მეთოდი - არაფერი გამორჩეს!

რაც შეეხება „მუხრანით კერძ ქალაქს“ ასე უწოდებდნენ საკუთრივ მცხეთას, იმიტომ, რომ ის ისტორიული ქვეყანა მუხნარის (გვიანდელი მუხრანი) სამხრეთ კიდეზე იყო და ქალაქის ჩრდილოეთით მუხნარის ქვეყანა იწყებოდა. მცხეთის ჩრდილოეთ კარებს მუხნარის კარებიც კი ეწოდებოდა. მაგალითად, ამაზასპის ცხოვრებაში ვკითხულობთ:

„მოვიდეს ოვსნი ჩრდილოსა კარსა ქალაქისათა, რომელ არს მუხნარი“ (S-30: 87r; Q1219, 8v).

აქ ქალაქში სწორედ მცხეთა იგულისხმება და მისი ჩრდილოეთის კარის სახელია მუხნარი, თუმცა ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემის მიხედვით მუხნარი თითქოს რაღაც სხვა, ცალკე ქალაქის სახელია, ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოტანილ ადგილას „კარსას“ ნაცვლად „კერძას“ არის შეტანილი, რაც გაუმართლებელია (იხ. აგრეთვე ყაუხჩიშვილი, 1955:413, მუხნარის განმარტება).

მცხეთა როგორც მუხრანით კერძი ქალაქი უპირისპირდებოდა ქალაქ არმაზს, რომელიც არმაზით კერძი (იგულისხმება არმაზის კერძი და მთა, რომელზედაც ის იდგა) ქალაქი იყო.

მცხეთის კიდევ ერთ სახელწოდებას ვხვდებით ქართველთა ცხოვრების დასაწყის მონაკვეთში, რომელშიც ანტიკური ხანის ისტორიაა მოთხრობილი - შიდა ქალაქი, რაც „მტკუარსა შიდა//შიგა ქალაქს“ გულისხმობს. ამ შემთხვევაშიც ასეთი განმარტება „მტკუარსა გარე ქალაქის“ - არმაზის არსებობას მოიაზრებს, თუმცა ეს უკანასკნელი ტერმინი არ გვხვდება.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ტექსტის ამავე მონაკვეთის გამოცემაში

შემდეგი შეცდომაა, რომელსაც ყველა გამოცემა უშვებს: ტექსტის მიხედვით ადერკს ბარტომისათვის მიუცია ქართლის ჩრდილოეთი ჰერეთიდან ვიდრე „თავამდე მტკვრისა და ეგრისისა“ (ეგრისისა MmQ] ეგრისა A). თუ ტექსტს ჩავუკვირდებით, საქმე ქვეყნის მტკვარზე გაყოფასთან გვაქვს. ამიტომ მემატიაზე ორსავე შემთხვევაში ასახელებს მტკვრის მარჯვენა (სამხრეთ) და მარცხენა (ჩრდილოეთ) მხარეს და აღნიშნავს, თუ ამ მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე საიდან სადამდე გადაეცა ტერიტორია ამა თუ იმ შვილს: ერთს მისცეს ჰერეთიდან ვიდრე მდ. მტკვრის თავამდე ანუ სათავემდე და მეორეს ხუნანითგან ვიდრე იმავე მდ. მტკვრის თავამდე. ქართლის მტკვარზე გაყოფის გარდა მამა-მეფემ გაყო ქართლის ქვეყნები, რომლებიც მტკვარზე არ მდებარეობდნენ. ასეთები კი კლარჯეთი და ეგრისია. ამდენად, ამ მონაკვეთის სწორი წაკითხვაა: „ვიდრე თავამდე მტკურისა და ეგრისი“ (და არა „ეგრისისა“, ან „ეგრისა“). როგორც ვხედავთ, ანასეულ ნუსხაში (A) უფრო დაცულია პირველადი ვერსია - აქ მხოლოდ ერთი ბოლო ასოა შეცვლილი - ეგრისი-ს ნაცვლად გვაქვს ეგრისა. M-ში კი შეცდომა უფრო გაღრმავებულია და „ეგრისი“-ს ნაცვლად „ეგრისისა“ მივიღეთ. ტექსტის ეს მონაკვეთი ასე უნდა აღდგეს:

მეფე ადრეკმა (ადროკი, ადერკი): „განუყო: ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიგა ქართლი; მცხეთა - მუხნარით კერძი [ქალაქი] და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოთ, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ეგრისი - ესე მისცა ბარტო[მ]ს ძესა თუისსა. ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანი[თ]გან ვიდრე თავადმდე მტკურისა და კლარჯეთი მისცა ქართამს ძესა თუისსა“.

##### 5. ქართლის ხეები - საერისთავოები

კიდევ ერთ ნაწყვეტს მოვიყვანოთ, რომელიც თემატურად ახლო დგას ზემოთ ნაჩვენებ შეცდომასთან, ამიტომაც მისი აქ განხილვა გამართლებულად მივიჩნით. ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში, ოსების შემოსევასა და ამ შემოსევის შედეგად ქართლისათვის, როგორც სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზარალზე საუბრისას ს. ყაუხჩიშვილისეული წაკითხვით, რასაც, 2008 წლის გამოცემაც იზიარებს, გვაქვს შემდეგი:

„გარდამოვიდეს ოვსნი..... რომელ დაურჩეს წარუტყუენელად ჰევნი ქართლისანი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი“ (ყაუხჩიშვილი, 1955:146; 2008:158).

ცნობილია, რომ სასვენო ნიშნები ძველ ნუსხებში არ იხმარება (მხოლოდ სიტყვის გამყოფი ნიშნები გვაქვს: წერტილის, ორწერტილისა და სამკუთხედად შეკრული სამწერტილის სახით. ამ უკანასკნელს უფრო მსხვილი მონაკვეთების ბოლოს ვხვდებით). იმავდროულად, თანამედროვე გამომცემლის მიერ არასწორად დასმულმა სასვენო ნიშანმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს კონტექსტი. ზემოთ მოყვანილ ამონარიდში ჰევნი ქართლისანი-ს შემდგომ მძიმის ნაცვლად ორწერტილი უნდა დაისვას, ვინაიდან ჩამოთვლასთან გვაქვს საქმე, ანუ უნდა დაიწეროს:

„გარდამოვიდეს ოვსნი ..... რომელ დაურჩეს წარუტყუენელად ჰევნი ქართლისანი: კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი“.

აქ რომ ტექსტის ჩვენ მიერ შემოთავაზებული წაკითხვაა სწორი, *ქართველთა ცხოვრების* სხვა ადგილიდანაც გამოსჭვივის:

„ხოლო ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოღვრებულ იყუნეს **კვენი ქართლისანი, თვინიერ**: კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა“ (ყაუხჩიშვილი, 1955:205).

როგორც ვხედავთ, თითქოსდა სულ რაღაც ერთი მძიმისა და ორიწერტილის ამბავია, სინამდვილეში, კი რადიკალურად განსხვავებულ სურათს ვიღებთ: მძიმის შემთხვევაში ქართლის სამეფო თავისი ხევეებით რაღაც ერთი ერთობაა და კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი კი მისი ტოლი პოლიტიკური ერთეულები; მეორე შემთხვევაში კი კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი ქართლის სამეფოს, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი ხევეებია!

#### 6. „თავსა ზედა“ თუ „მთასა ზედა“

კიდევ ერთი მონაკვეთი განვიხილოთ, რომელსაც 2008 (ისევე, როგორც მისი წინამორბედი ყაუხჩიშვილისეული გამოცემა) მცდარად კითხულობს. ქართლოსის გარდაცვალების შესახებ მკითხველის ინფორმირებისას, ქართველთა ცხოვრების M ნუსხაში, რომელმაც *ძველი ქართველთა ცხოვრების* ნუსხებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთადერთმა შემოგვინახა აღნიშნული მონაკვეთი, ვკითხულობთ:

„მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი **თავსა ზედა** ქართლისასა, რომელსა ეწოდების არმაზი“ (S-30: 56r).

ტექსტის აღნიშნულ მონაკვეთს უცვლელად გვთავაზობს ვახტანგი-სეული რედაქცია (არახამია, 2017:25) და მასზე დაყრდნობით, როგორც 1955 წლის, ისე 2008 წლის გამოცემა (ყაუხჩიშვილი, 1955:8; მეტრეველი, 2008:29). ეს წინადადება სულ ცოტა, ბუნდოვანია (რას „ეწოდების არმაზი“? „ქართლის თავსა“?). მართლაცდა, როგორ გავიგოთ „თავსა ზედა ქართლისასა“, თუ „თავსა ქართლისასა“ სიტყვა სიტყვით „ქართლის დასაწყისს“ ნიშნავს?

გასადებს გვაძლევს თხზულებაში აღნიშნული წინადადების ოდნავ ზევით არსებული ინფორმაცია, სადაც თავის წილხვედრ მიწა-წყალზე ქართლოსის მოსვლის შესახებ თხრობაში ვკითხულობთ:

ქართლოსი „განვიდა **მთასა მას ზედა**, რომელსა ეწოდების არმაზი .... ვიდრე აღმართრებამდე მუნ ზედ კერპი[სა მის] არმაზისი, ერქუა **მთასა მას** ქართლი და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ (S-30: 56v-r).

ამის გათვალისწინებით, განსახილველი წინადადება ასეთ სახეს მიიღებს:

„მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი **მთასა ზედა** ქართლისასა, რომელსა ეწოდების არმაზი“.

#### 7. აზოცი თუ აშოცი

კიდევ ერთ, აზოც/აშოცის საკითხს გვინდა შევეხოთ. ამ ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის სწორი სახელწოდება არის *აშოცი*. ამ სახელწოდებით გვხვდება ის სომხურ წყაროებში. ქართულ სინამდვილეში სახელის ახალი ფორმის - *აზოცი* - წარმოქმნა წიგნიერი გზით მოხდა, ნუსხური

დამწერლობით შესრულებულ ტექსტში „შ“ ასო-ნიშნის ბ-დ ამოკითხვის შედეგად (ასეთი შემთხვევები *ქართველთა ცხოვრების* ნუსხებში ძალზე ხშირია, რაც ნუსხური „ბ“ და „შ“ ასო-ნიშნების აღრევიდან მოდის). ქვეყნის ძველი სახელის (აშოცი) დავიწყების შედეგად გვიან საუკუნეებში მცდარად ამოკითხული *აშოცი* იქცა მხარის ძველი სახელის, ასე ვთქვათ, „გამოცოცხლებულ“ ვერსიად. ამიტომაც უკვე *აშოცი* (აშოცის ნაცვლად) გვხვდება ვახტანგ VI-ის და მისი მეცნიერ კაცთა მიერ რედაქტირებული *ქართველთა ცხოვრების* ტექსტში, ისევე, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის შრომებსა და სხვა ისტორიკოს-ბაგრატიონების ნაშრომებში გავრცელებულ სახელად. ის რომ *ქართველთა ცხოვრების* ნუსხებშიც ოდესღაც აშოცი ეწერა, ამას ანასეული რედაქციის ნუსხები მოწმობს, სადაც „აშოცის“ ნაცვლად „აშოტი“ გვხვდება:

„ხოლო ესე ბაქარ.... დაემოყურა და აგაუცვალა ქუეყანა მისი სიძესამისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი ბარდ/ავამდის მიცემულად მირიანისგან და მისცა მის წილ სამშუილ/დითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავამდე აშოტისა“ (Q-795: 59v).

ან კიდევ: ანასეული რედაქციის ნუსხებში (AC) ვკითხულობთ:

„მეორე მისცა პიტიახშსა ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აშოტს“ (Q-795: 128v; Q 207, 169r)

ასევე C ნუსხაში:

„ხოლო გუარამს (საუბარია აშოტ კურაპალატის ძეზე) დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აშოტი“ (Q-207: 179r)

C-ში იქვე: „აშოტი განუყო ცოლის ძმასა თუისსა, სომეხთა მეფესა“ (Q-207: 179r)

ამ შემთხვევებში შ/ბ-ს აღრევა დამძლეულია, მაგრამ სანაცვლოდ ნუსხური ტ/ც-ს აღრევასთან გვაქვს საქმე, რაც აგრეთვე ძალზედ ხშირია ნუსხურით შესრულებულ ხელნაწერებში. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ეს გეოგრაფიული სახელი ტექსტში სულ 6-ჯერ გვხვდება და აქედან ოთხ შემთხვევაში ანასეული რედაქციის ნუსხებში სწორ ფორმასთან ფრიად მიახლოებული ვერსია გვაქვს (აშოტი). ამის გათვალისწინება აუცილებელია გამოცემაშიც.

#### 8. „გაღმართ ევნებოდიან“, და „გაემართოდიან“ ორივე საჭიროა

აქ საგანგებოდ ერთ ადგილზე დავ უნდა შევჩერდეთ, რაც ტექსტის დადგენის თვალსაზრისით უთუოდ საყურადღებოა. არსუკისა და არმაზელის მეფობაში შემდეგ ინფორმაციას ვაწყდებით:

„ხოლო თვთ მეფენი ქართლისანი მცხეთით გაღმართ ევნებოდიან სომხითს გზასა ა[შ]ოცისსა და მარადის ესრეთ ჰკ[ი]რთებდეს ქართულნი და ოვსნი“ (S-30: 81v; Q-1219: 6r).

სამწუხაროდ, ეს მონაკვეთი მხოლოდ მცხეთური რედაქციის ორი ნუსხით (QM) შემოგვრჩა და მისი ანასეული რედაქციის ნუსხებით გაკონტროლების საშუალება არა გვაქვს (საკუთრივ ანასეულ ნუსხას აქ გვერდი, გვერდნახევარი აკლია). ვახტანგის კომისიამ „გაღმართ ევნებოდიან“ ამოიღო და „გაემართოდიან“-ით ჩაანაცვლა. მონაკვეთის ასეთი წაკითხვა შემდგომში

თხზულების ყველა გამომცემელმა გაიმეორა (ყაუხჩიშვილი, 1955:48; ანთელავა & შოშიაშვილი, 1996:68; მეტრეველი, 2008:61).

სიტყვების *გაღმართ ევნებოდიან*-ის - ამოგდება და მათი *გაემართოდიანით* ჩანაცვლება გაუმართლებელია. სინამდვილეში, მსგავსი გამოთქმა დამახასიათებელია ამ ქრონიკის სტილისათვის. მაგალითად, ცოტა ზემოთ ვკითხულობთ:

„და იყო კლარჯეთს ერისთავი არსუკ მეფისაჲ ... და იგი **ავნებდის საზღვართა სომხითისათა**“ (S-30: 81v; Q1219: 6r);

ან კიდევ:

„და ვითარ განამრავლეს ქართველთა და ოვსთა **ვნებაჲ სომხითისა**, მაშინ არტაშან მეფემან შეკრიბნა სპანი“... (S-30: 82r; Q1219/6v).

როგორც ვხედავთ, „ავნებდის [საზღვართა] სომხითისათა“, „ვნებაჲ სომხითისა“, და „ვენებოდიან სომხითს“ *ქართველთა ცხოვრების* ამ ნაწილის სტილისათვის დამახასიათებელი გამონათქვამებია და, შესაბამისად,

„გაღმართ ევნებოდიან“ არ შეიძლება *გაემართოდიან*-ის შერყვნილ ვერსიად განვიხილოთ. შინაარსიც ამაში გვარწმუნებს - საქმე გვაქვს ქართლის მეფესა და ქართლის პიტიახშთან (არმაზელი მეფე), რომელიც იმხანად, *ქართველთა ცხოვრების* მიხედვით, სომხეთს ექვემდებარებოდა (მცხეთელი მეფეც ექვემდებარებოდა იმ ხანად სომხეთს, მაგრამ არმაზელს მეტად ჰქონდა სუვერენიტეტი შეზღუდული, ის უშუალოდ სომხეთის სივრცეში, საზღვრებში მოიაზრებოდა. იხ. სანაძე, 2001:91-122; სანაძე, 2016:173- 202). ამ დროს არმაზული მხარე გოგარენა-გუგარქის სახით სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა, სომხეთის ჩრდილოეთ საპიტიახშოდ განი- ხილებოდა. ამდენად, „მცხეთით გაღმართ“ იმხანად პოლიტიკურად სომ- ხეთი იყო და ეს უძველესი ვითარება გამოსჭვივის ტექსტიდან! ამიტომ, „გაემართოდიან“ უნდა ჩაემატოს აღნიშნული სიტყვების ამოგდების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ტექსტი გახდება სრულიად გასაგები და არც თავის ძველ შინაარსს დაკარგავს:

„ხოლო თვთ მეფენი ქართლისანი მცხეთით გაღმართ ევნებოდიან სომხითს, [გაემართოდიან] გზასა ა[შ]ოცისსა და მარადის ესრეთ [ე]კ[ი]რთებ[ო]დეს ქართულენი და ოვსნი“.

#### 9. „ფროტათოს“ ქვეყანაა თუ რომაული ჯარი?

ალექსანდრეს მიერ აზოს ქართლში მოყვანის სიუჟეტში ერთი მონაკვეთი მარიამისეულ (M) ნუსხაში შემდეგნაირად ჟღერს:

ალექსანდრე მაკედონელმა „დაუტევა მათ ზედა პატრიაქად სახელით აზონ, ძე იარდოსისი, ნათესავი მისი ქუეყნით ჰრომი, რომელსა ჰქუიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყუნეს კაცნი ძლიერნი და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა“ (S-30: 61r-v).

როგორც ვხედავთ, ტექსტი დამახინჯებულია, თანაც იმდენად, რომ ვახტანგის კომისიის აღდევნების გაუთვალისწინებლად, შინაარსის გამოტანა შეუძლებელია – გამოდის, რომ აზონი დაუტოვებია ალექსანდრეს პატრიაქად, ეს აზონი ყოფილა ძე იარდოსისი (ამ ფორმით სახელი გაუ-



გებარია), რაც მთავარია, აზონი ყოფილა წარმოშობით რომის ქვეყნიდან, რაც სულ მცირე უცნაურია იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ ტექსტი გვაცნობს აზონის და ალექსანდრეს ნათესაობას (ანუ ერთი საგვარეულოდან, მოდემიდან მომდინარეობას), ხოლო ალექსანდრეზე გვატყობინებს მისი, საბერძნეთის მაკედონიიდან წარმომავლობას. აღნიშნული ამონარიდიდან კი ვგებულობთ, რომ აზონი ყოფილა ჰრომის ქვეყნიდან, რომელსაც თითქოს ჰქვია ფროტათოს. მართლაც, გაუგებარია ვის ჰქვია ფროტათოს? ტექსტის მიხედვით ეს ქვეყნის სახელია! არადა *ფროტათოსი* ქვეყანა არაა, ასე უწოდებდნენ რომაული ჯარის საგანგებო ნაწილს, შეიძლება ითქვას ელიტარულ დანაყოფს (სანამე, 2019:175-176). ამკარაა, რომ ტექსტში რაღაც თავის ადგილას ვერაა.

ყველაფერი გასაგები ხდება, თუ ვახტანგის კომისიის აღდგენას გავითვალისწინებთ, რომელიც მან, დიდი ალბათობით, ანასეული რედაქციის ხელნაწერების (AC) ჩვენამდე ვერმოღწეული დასაწყისი მონაკვეთიდან აიღო:

„და დაუტევა მათ ზედა პატრ[იკ]ად (და არა პატრიაქად!) სახელით აზონ, ძე იარ[ე]დოსისი, ნათესავი მისი [ქუყენით მაკედონით და მისცა ასი ათასი კაცი] **ქუყენით** ჰრომი[თ], რომელსა ჰქუიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყუნეს კაცნი ძლიერნი და ეკირთებოდეს ქუყენასა ჰრომისასა“ (ახალი ქრ. ცხ. 2017, 34).

აზონი, ბუნებრივია, უნდა წარმოსდგებოდეს იმავე „მაკედონის ქვეყნიდან“, ვინაიდან ის არის ალექსანდრეს ნათესავი. ამ ფროტათოსელთაგან

„ასი ათასი კაცი“ მიუცია ალექსანდრეს აზონისათვის სამხედრო ძალად, ბუნებრივია, ისინი მას უცხო ქვეყანაში საყრდენად სჭირდებოდა. ამ შემთხვევაში, „ასი ათასი ფროტათოსელით“ ლეონტიმ (და არა ვახტანგის კომისიამ) ჩაანაცვლა *მოქცევაჲ ქართლისას ქრონიკის* „რვა სახლი და ათნი მამამძუმეთა“ (ეს მონაკვეთი უფრო გვიანდელ თხზულებებში გვეძლევა სხვა რიცხვებით: ათი და ათასი; ათასი და ათიათასი...) რომელიც თავის მხრივ ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრებიდან მოდის (იხ. სანამე, 2019:175-176).

თუ დავაკვირდებით საკუთრივ მარიამისეულ ნუსხაში გამოტოვებულ მონაკვეთს (ქვეყანით .... კაცი), ვნახავთ, რომ ეს ტიპური შემთხვევაა, როდესაც სიტყვების კიდურმსგავსების გამო (ქვეყნით // ქვეყნით) წინადადების ერთი მონაკვეთის ამოვარდნა ხდება. ასეთი შემთხვევები როგორც მცხეთური რედაქციის, ისე ანასეული რედაქციის ნუსხებში ერთეულობით კი არა ათეულობით მოითვლება. ვახტანგის *კომისიის* მუშაობის მეთოდში ოდნავ მაინც გათვითცნობიერებული კაცი დაგვეთანხმება, რომ კომისიას საფუძვლად მცხეთური რედაქცია, სავარაუდოდ, ამ რედაქციის მარიამისეული ნუსხა ჰქონდა აღებული და ამ რედაქციის ნუსხებში მსგავს ამოვარდნილ მონაკვეთებს ანასეული რედაქციიდან (არის შემთხვევები, როდესაც სხვა რედაქციის თუ არა, სხვა ნუსხის არსებობაც იკვეთება) აღადგენდა, თვითნებური აღდგენები *კომისიის* მუშაობის მეთოდს საერთოდ არ ახასიათებს! მაშ, საიდან მოიტანდა კომისია „ასი ათას კაცს“! ან ისეთ აღდგენას, როგორც „პატრიკი“-ა, მარიამისეული ნუსხის

„პატრიაქის“ ნაცვლად ან „იარედოს“-ია „იარდოს“-ის ნაცვლად (რასაც 2008 წლის გამოცემაც იზიარებს) და სხვ., ის რომ ვახტანგისეული კომისიის აღდგენების მნიშვნელოვანი ნაწილი ანასეული ნუსხიდან მოდის, ჯერ კიდევ ს. ყაუხჩიშვილმა აჩვენა (ყაუხჩიშვილი, 1942:XXXVIII-XLVII). რა თქმა უნდა, ვახტანგის კომისია ამ შემთხვევაში ანასეული რედაქციის (საკუთრივ ანასეული ან ჭალაშვილისეული ნუსხების ჩვენამდე არ მოღწეული მონაკვეთებით, ან იმავე რედაქციის სულაც ჩვენამდე არ მოღწეული ნუსხით) ხელმძღვანელობდა და ასე აღადგენდა მცხეთურ რედაქციაში ამოვარდნილ და გამორჩენილ მონაკვეთებს.

საინტერესო სწორედ ისაა, რომ საკუთრივ 2008 წლის გამოცემის განმხორციელებლებიც ზუსტად ასე იქცევინან და ანასეული რედაქციის ნუსხების მეშვეობით აღადგენენ მცხეთური რედაქციის მარიამისეული ნუსხის ნაკლულ ადგილებს, მაგრამ ამჟამად ჩვენამდე მოღწეულ ანასეული რედაქციის ანასეულ ნუსხას მეფე ადრეკამდე (ადროკი, ადერკი) მონაკვეთი მოწყვეტილი აქვს. გამოდის, სადაც ვახტანგის კომისიის გაკონტროლება შეგვიძლია, ანასეული ნუსხის შემორჩენილი მონაკვეთით, ასეთ შემთხვევაში კომისიის ნამუშევარს ვიზიარებთ, და როცა AC ნუსხების საწყისი მონაკვეთების დაკარგვის გამო, კომისიის ნამუშევრის გაკონტროლების საშუალება არ გვეძლევა, მაშინ უგულვებელვყოფთ, იმ დროსაც კი, როდესაც ეს აღდგენები ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით აშკარად გამართლებულია!

#### **10. არღარა ინება ზავი, ვედრება მათი არა შეიწყნარა**

კიდევ ერთ მონაკვეთს განვიხილავთ, რომელიც კარგად აჩვენებს იმ შემთხვევას, როდესაც ძველი ქართველთა ცხოვრების ტექსტის დადგენისას აუცილებელია ვახტანგისეული რედაქციის გათვალისწინება. ალექსანდრეს ბუნთურქებთან ბრძოლის აღმწერი ტექსტი M ნუსხაში ნაკლულია, სიტყვებია ამოვარდნილი, რაც ტექსტის გაგებას აძნელებს. M-ში ტექსტი შემდეგნაირად გამოიყურება:

„ხოლო სარკინელთა შუაა ნათქურთაგანთა მეფესა, განუწყრა ალექსანდრე და არღარა ზავი, ვედრება მათი და ჰქუა მათ“ ( S-30: 61v).

ვახტანგის მეცნიერ კაცთა კომისიამ წინადადების ნაკლული მონაკვეთები, სავარაუდოდ, აღადგინა AC ნუსხების იმ დროს არსებული, ჩვენთვის კი ამჟამად დაკარგული დასაწყისი მონაკვეთების მიხედვით.

„ხოლო სარკინელთა [ბ]უნ თუ[რქ]თაგანთა [აგინეს] მეფესა, განუწყრა ალექსანდრე და არღარა [ინება] ზავი, ვედრება მათი [არა შეიწყნარა] და ჰქუა მათ“ (არახამია, 2017:33).

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც, ვახტანგის კომისია რამდენიმე მონაკვეთს აღადგენს: „ბუნ თურქთაგანთა“-ს, დამახინჯებული „შუაა ნათქურთაგანთა“-ს ნაცვლად; ტექსტში საერთოდაც გამორჩენილ: „აგინეს“, „ინება“-ს და „არა შეიწყნარა“-ს. ამ აღდგენების გარეშე ტექსტი გაუგებარი ხდება. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ყაუხჩიშვილისეული გამოცემა ამ აღდგენებს იზიარებს, რაც შეეხება 2008 წლის გამოცემას ის ბოლო აღდგენას („არა შეიწყნარა“) არ იზიარებს და, შესაბამისად, ამ გამოცემაში ტექსტი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაირად ჟღერს:

„ხოლო სარკინელთა [ბ]უნთუ[რქ]თაგანთა [აგინეს] მეფესა, განუწყრა ალექსანდრე და არღარა [ინება] ზავი, ვედრება მათი და ჰქუა მათ“ (მეტრეველი, 2008:37).

კითხვა ჩნდება: „ვედრება მათი“... და რა? „არღარა ინება ვედრება მათი“, თუ „ვედრება მათი და ჰქუა“? - ალბათ დამეთანხმებით, რომ არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში ქართულისათვის გასაგებ ენობრივ კონსტრუქციასთან არ გვაქვს საქმე! ამგვარად, 2008 წლის გამოცემის მიერ რატომღაც დაწუნებული „არა შეიწყნარა“ თავის ადგილას უნდა აღდგეს! ამ შემთხვევაში, ვახტანგისეულ რედაქციას არაფერი დაეწუნება და ს. ყაუხჩიშვილიც სავსებით სამართლიანად იზიარებს ამ აღდგენას.

### 11. „განაშორა“ თუ „განაშუენა“?

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ადგილი. *ქართველთა ცხოვრების* არშაკ მირიანის ძის მეფობის აღმწერ მონაკვეთში M ნუსხაში ვკითხულობთ:

„და დაჯდა მის წილ ძე მისი არ[შ]აკ, დედით არ[შ]აკუნიანი და მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი. ამან **განაშორა** ნე[ლ]ქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრ[ესი]“ (S-30: 76v).

ტექსტის გაგებაში პირველი შეცდომა ვახტანგის კომისიამ დაუშვა, რომელმაც „ამან განაშორა ნელქარ“-ში განაშორა შეცდომად მიიჩნია და განაშუენათი აღადგინა. M ნუსხის *განაშორას* ჩანაცვლება *განაშუენათი* გაიზიარა ყაუხჩიშვილმა (ქრ. ცხ., 1955:33). 1996 წ. ანთელავა-შოშიაშვილის გამოცემამ ვახტანგის კომისიისა და ს. ყაუხჩიშვილის რედაქციებში დაშვებული შეცდომა გამოასწორა და მცდარად აღდგენილი „განაშუენას“ ნაცვლად კვლავაც M ნუსხის განაშორა-ს მიანიჭა უპირატესობა (ანთელავა, შოშიაშვილი, 1996:62). 2008 წლის გამოცემამ უპირატესობა, გაუგებარი მიზეზის გამო, *განაშუენას* მიანიჭა (მეტრეველი, 2008:53).

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ამან განაშორა ნელქარ“-ნელქარის მშენებლობის დასრულებას ნიშნავს და ამას ქალაქის დამშუენება-შემკობასთან არაფერი აქვს საერთო. მართლაც, თხზულებაში ჯერ კიდევ ქართლის რიგით მეოთხე მეფის, ფარნაჯომის შესახებ თხრობაში ვკითხულობთ:

„და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ .... ამან .... იწყო შენებად კახეთის ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“ (S-30: 75r-76v).

რადგან ქალაქის მშენებლობა დაიწყო, ის უნდა დასრულებულიყო კიდევ, აი, სწორედ ამას გვამცნობს არშაკ მირიანის ძის ცხოვრებაში მოთავსებული ინფორმაცია და არა მის გალამაზება-გამშვენებას. ცხადია, 1996 წლის გამოცემაში ანთელავა-შოშიაშვილმა სავსებით სამართლიანად მიანიჭა უპირატესობა მარიამისეული ნუსხის წაკითხვას („განაშორა“).

„განაშორება“ ზმნის ეს მნიშვნელობა - გასრულება დამთავრება - ი. აბულაძის ლექსიკონშიც აღნიშნულია (აბულაძე, 1973:74) და შემდეგი მაგალითია მოყვანილი: „ვითარცა განაშორა ლოცვა“, რაც სწორედაც ლოცვის დას-რულებას ნიშნავს.

იგივე გამოთქმა დაცული გვაქვს *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკის შატბერდულ ნუსხაში რომელიც ამ თხზულების ნუსხებიდან ერთადერთი

შეიცავს წარმართული ხანის მეფეებისადმი მიძღვნილ მონაკვეთს (მოქც. ქართლისადას ეს მონაკვეთი ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ქალაქ მცხეთის გასრულებზე მსჯელობისას):

„**ი<sup>ა</sup> (11)**. და მეფობდა **როკ**, რომელმან რადთურთ მცხეთაჲ გაიშორა და მეფობაჲ ორად გაიყო: ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ“ (აბულაძე, 1963:80).

ამ შემთხვევაშიც მცხეთის მშენებლობის დასრულებზე საუბარი და არა მის დამშვენებაზე. ზუნებრივია, რადგან მეფობა მტკვარზე ორად გაიყო (იმიერ და ამიერ) და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ძველ დედაქალაქ არმაზში ერთი მეფე დარჩა, მარცხენა სანაპიროს მეფესაც ხომ სჭირდებოდა ქალაქი! ამიტომაც მოხდა მცხეთის სწორედ აღორკ //არდოკის დროს დასრულება - ამის საჭიროება დადგა. თუმცა ეს ახალი ქალაქი კიდევ დიდხანს არმაზიდან განსხვავებით იწოდებოდა შიდა // „შიგა ქალაქად“ (რაც მტკვარს შიგნით მდებარე ქალაქს ნიშნავს), „მუხნარით კერძ ქალაქად“, რაც ქვეყანა მუხნარის მხარეს მდებარე ქალაქს ნიშნავს.

ამ შემთხვევაშიც სწორედ ნეკრესის დასრულებასთან (განაშორა) გვაქვს საქმე, უბრალოდ M ნუსხის განაშორა უნდა შევცვალოთ უფრო სწორი ფორმით - განიშორა. ამის შემდეგ ტექსტის სწორი წაკითხვა გვექნება შემდეგი:

„და დაჯდა მის წილ ძე მისი არ[შ]აკ, დედით არ[შ]აკუნიანი და მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი. ამან გან[ი]შორა ნე[ლ]ქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრ[ე]სი“ (S-30: 76v).

## 12. კართა შორის ციხედ თუ შურის ციხედ?

მეფე ვარაზ ბაკურის (ვარაზ ბაქარის) ცხოვრების აღწერაში მცხეთური რედაქციის mM ნუსხებში ვკითხულობთ, რომ შემოვიდა სპარსთა ერისთავი და:

„აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისა“ (H-2135: 88v; S-30: 149v).

ანასეული რედაქციის საკუთრივ ანასეულ ნუსხაში (A) გვაქვს:

„აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისა“ (Q-795: 61r-v).

რაც შეეხება ანასეული რედაქციის ჭალაშვილისეულ ნუსხას (C), ეს ადგილი შემდეგნაირად ჟღერს:

„აღაშენა ერისთავმან სპარსთამან კართა, შურის ციხედ მცხეთისად“ (Q-207: 95v).

სამწუხაროდ, მაგალობლისძის ნუსხაში (Q) სიტყვა „შორის“/„შურის“ დაქარაგმებულია, როგორც „შ~ს“, ამიტომ „შორის“, იყო თავდაპირველად, თუ „შურის“ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით. ერთი რამ კი აშკარაა, რომ ნუსხურში ასო ნიშანი „უ“ ორი ასო ნიშნით იწერებოდა – ოჟ = უ-ს. ამდენად ჭალაშვილისეული ვერსია „შურის ციხე“ უკვე ცხადს ხდის, რომ საქმე გვაქვს სწორედ უ-სთან და არა ო-სთან. MmA ნუსხების შეცდომაც გასაგები ხდება: ორი ასონიშნისაგან შედგენილ უ-ს ძალზედ იშვიათად წერდნენ სრულად,

ძირითადად, „ო“ იწერებოდა და „ჯ“ იგულისხმებოდა. ამდენად ამ ნუსხებმა დაქარაგმებული „ჯ“ არ „გახსნეს“ და როგორც ეწერა „ო“, ესევე გადმოიწერეს. ისიც აშკარაა, რომ ჭალაშვილისეულ ნუსხაში „თბილისის“ გამოტოვებულია. გამოტოვებული სიტყვის თავის ადგილზე ჩასმით კი ვღებულობთ: „ალაშენა ერისთავმან სპარსთამან [ტფილისის] კართა, შურის ციხედ მცხეთისა“. ამ ვერსიასთან ფრიად მიახლოვებული ვერსია აღადგინა ვახტანგის მეცნიერ კაცთა კომისიამ:

„ალაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი, შურის ციხედ მცხეთისა“ (V, იხ. არახამია, 2017:113).

ს. ყაუხჩიშვილმა უპირატესობა ანასეული ნუსხის წაკითხვას მიანიჭა (რაც ამ გამოცემისათვის ზოგადად დამახასიათებელია), თუმცა სხვა ნუსხა უფრო სწორ ვერსიას გვაწვდის. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში ეს ადგილი შემდეგნაირად გამოიყურება:

„ალაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“ (ყაუხჩიშვილი, 1955:136).

რაც, როგორც ვხედავთ, ანასეული ნუსხის წაკითხვის სიტყვა-სიტყვით გამეორებაა ბოლო „დ“-ს გამოკლებით, ამ ერთადერთ შემთხვევაში ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა ჭალაშვილისეულ ნუსხას მისდევს: მცხეთისა mMA] მცხეთისად ყაუხჩ. C.

ს. ყაუხჩიშვილის კონსტრუქცია არ გაიზიარა დ. ბერძენიშვილმა და უპირატესობა ჭალაშვილისეული ნუსხას და ვახტანგის კომისიის წაკითხვას მიანიჭა, რაც „კართა შორის“ ნაცვლად „შურის ციხის“ აღდგენას გულისხმობს (ბერძენიშვილი, 2007: 171).

ტექსტის 2008 წელს გამოცემა შემდეგ წაკითხვას გვთავაზობს:

„ალაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისა“ (მეტრეველი, 2008:147).

როგორც ვხედავთ, 2008 წლის გამოცემა უცვლელად მცხეთური რედაქციის შერყვნილ ვერსიას მისდევს. არა მგონია ამ წინადადებიდან ვინმემ აზრი გამოიტანოს. მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ ჭალაშვილის ნუსხიდან და ვახტანგის რედაქციიდან იყო ცხადი, რასაც ამყარებს *ქართველთა ცხოვრების* ძველი სომხური თარგმანის ჩვენება. სომხური ტექსტი გვამცნობს:

„ს ესქინ Պարսիկք և շինեցին բերդ ի դրասն Տփլիսաց հակառակ Մցխիթոց“.

რაც ი. აბულაძისეულ ქართულ თარგმანში, რომელიც სიტყვა-სიტყვით იმეორებს სომხურს, შემდეგნაირად ჟღერს:

„და მოვიდნენ სპარსელები და ააგეს ციხე ტფილისის კარს, მცხეთის საწინააღმდეგოდ“ (აბულაძე, 1953:133-134).

რომელიმე ობიექტის (ციხის, ქალაქის) საპირისპიროდ, საწინააღმდეგოდ, მის ასაღებად ან საკონტროლოდ აგებულ ციხეს, სწორედაც, *შურის ციხე* ეწოდება ქართულ წყაროებში. ძველი სომხური თარგმანის ჩვენების გათვალისწინებით აღნიშნული მონაკვეთი შემდეგნაირად უნდა აღდგეს:

„ალაშენა ერისთავმან სპარსთამან [ციხე] ტფილისის კართა, შურის ციხედ მცხეთისა“.

### 13. ეგრისწყალს ქუემოთ - ეგრისწყლისითგან ზემოთ

კიდევ ერთ ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობაზე შევჩერდებით, რომელიც ისტორიკოსებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია. მამის მირდატის გარდაცვალების შემდეგ, ვახტანგის ბავშვობაში, ქართლისათვის ოსებს გარდა, რომლებმაც ვახტანგის და გაიტაცეს, ბერძნებსაც (ბიზანტია) შემოუტევიათ. მცხეთური რედაქციის სამივე ნუსხაში ეს ადგილი შემდეგნაირად ჟღერს:

„მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალსა ქუემოთი (ქუემოთ Mm) კერძი. და ყოველი დაიპყრეს (იპყრეს Q) ქუემოთ ეგრის წყლისითგან ვიდრე ციხე გუჯამდენ (გოჯამდენ Mm)“ (S-30: 157r; Q-1219: 40v; H-2135: 93v).

როგორც ვხედავთ, ტექსტი ერთგვარად დამახინჯებულია. ძველი ქართული გეოგრაფიული ტერმინოლოგიით (ამის არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმავე *ქართველთა ცხოვრების* სხვადასხვა მონაკვეთებიდან) მდინარის ორი ნაპირიდან ერთს *ზემო*, მეორეს კი *ქვემო* ერქვა. აქედან ზემო ყოველთვის მარცხენა სანაპირო იყო, ქვემო კი - მარჯვენა (იხ. სანაძე, 2019:257-264). აღნიშნული ტექსტი იმას გვეუბნება, რომ ენგურის (ეგრის წყლის) მარჯვენა სანაპირო (ქვემო) ბერძნებს (ბიზანტიელებს) ეპყრათ, ამის შემდეგ კი გვამცნობს, რომ ბიზანტიელები გადმოვიდნენ ეგრის წყალს და ახლა დაიპყრეს ტერიტორია ენგურიდან ციხე-გოჯამდე. ბუნებრივია, ენგურის მარცხენა სანაპირო უკვე „ზემოთ“-ი იყო, მაგრამ გადამწერმა რამდენიმე სიტყვის წინ ნახმარი ქვემოთ-ის ანალოგიით, ამ შემთხვევაშიც, მცდარად, ზემოთ-ის ნაცვლად ქვემოთ დაწერა. ანასეული რედაქციის საკუთრივ A ნუსხაში ეს მეორე ქვემოთ საერთოდ გამოტოვებულია, რაც შეეხება C ნუსხას, მას „დაიპყრეს“-ის შემდეგი მონაკვეთი მთლიანად აკლია და არ ვიცით ის ტექსტიდან ამოვარდნამდე რა სახით გვეძლეოდა.

A ნუსხა:

„მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთად, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი. და დაიპყრეს ეგრის წყლითგან ვიდრე ციხე გოჯამდე“ (Q-795: 69v).

C ნუსხა:

„მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალსა ქუემოთი კერძი. და ყოველი დაიპყრეს.“ (Q-207: 102r).

ვახტანგის კომისიის მოღვაწეობის დროისათვის მდინარესთან მიმართებაში ეს ძველი ქართული გეოგრაფიული ტერმინოლოგია, სავარაუდოდ, უკვე დიდი ხნის მივიწყებული იყო, ამიტომ მათ ტექსტში მდინარესთან (ამ შემთხვევაში ეგრისწყალთან კავშირში) ეს ორი ქვემოთ არ ეუცნაურად და უცვლელად დატოვეს. თუმცა კარგად რომ ჩაკვირვებოდნენ, მიხვდებოდნენ ტექსტის ბუნდოვანებას - ეგრისწყალს ქვემოთ ხომ ისედაც ბერძნების იყო და ბერძნებს რაღა უნდა დაეპყროთ, ბუნებრივია, მათ ახლა ეგრისწყლის მეორე სანაპირო (ზემოთი) დაიჭირეს ციხე-გოჯამდე (*ქართველთა ცხოვრებაში* „ზემოთ“ და „ქვემოთ“ გეოგრაფიული ცნებების თაობაზე იხ. სანაძე, 2019:257-265). იმავდროულად, ვახტანგის კომისიის სანაქებოდ უნდა ვთქვათ, რომ

მათ თუ ვერ გაასწორეს, ხელი მაინც არ ახლეს და ტექსტი უცვლელი დატოვეს (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მცხეთურ რედაქციის ნუსხებს, ანასეულ ნუსხაში, რომ სიტყვა უკვე ამოღებული იყო, ეს ზემოთ ვნახეთ). კომისიას თავისუფლად შეეძლო ანასეული ვერსიისათვის უპირატესობის მინიჭება (მით უფრო, რომ ასეთი მოქმედება მისი მუშაობისათვის უცხო სულაც არ იყო და საჭიროდ მიჩნევის შემთხვევაში, ასე იქცეოდნენ კიდეც). მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, მცხეთური რედაქციის ჩვენება უფრო დამაჯერებლად ჩათვალა. იმავდროულად, კომისიამ მცხეთური რედაქციის ტექსტში, სავსებით სწორად, ანასეული რედაქციის გათვალისწინებით, შეიტანა შესწორება: „კერძი“-სა და „ყოველი“-ს შორის მცხეთურ რედაქციაში მცდარად ჩამჯდარი „და“ ამოიღო და მანამდე გადამწერთა მიერ მცხეთური რედაქციის ნუსხების პროტოგრაფში შერყვნილი ეს მონაკვეთი გაასწორა, ვახტანგის კომისიის ხელიდან გამოსული ტექსტი შემდეგნაირად ჟღერს:

„მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი. და დაიპყრეს ქუემოთთ ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე გოჯადმდე“ (არახამია, 2017:119).

ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით 1955 წ. განხორციელებულმა გამოცემამ ტექსტის აღნიშნულ მონაკვეთში უპირატესობა ანასეულ რედაქციას მიანიჭა და მეორე ქვემოთ, ანასეული რედაქციის მსგავსად, გამოტოვა. ყაუხჩიშვილისეული რედაქციით ეს მონაკვეთი შემდეგნაირად ჟღერს:

„მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალსა ქუემოთი კერძი ყოველი. და დაიპყრეს ეგრის წყლით- გან ვიდრე ციხე გოჯადმდე“ (ქრ. ცხ., 1955:146).

2008 წლის გამოცემაც ანასეულ რედაქციას მისდევს და მის კვალდაკვალ მეორე ქუემოთ-ს მთლიანად იღებს ტექსტიდან.

„მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყლისა ქუემოთთ კერძოდ. და ყოველი დაიპყრეს ეგრის წყლითგან ვიდრე ციხე გოჯადმდე“ (მეტრეველი, 2008:158).

იმავდროულად მცდარად უგულებელყოფს ვახტანგის კომისიის მიერ ანასეული ნუსხის ჩვენების გათვალისწინებით, მცხეთური რედაქციის ტექსტში შეტანილ შესწორებას, რაც „კერძი“-სა და „ყოველი“-ს შორის „და“ კავშირის ამოღებას გულისხმობს. მოკლედ რომ ვთქვათ, 2008 წლის გამოცემა ანასეული ნუსხის გადამწერის მიერ „ქუემოთ“-ის ტექსტიდან ამოღებას იზიარებს, ხოლო, ამავე ნუსხაში მცხეთური რედაქციის ნუსხებიდან განსხვავებით „და“ კავშირის სწორ ამოღებას არა.

ამ შემთხვევაში საჭირო იყო ტექსტში მინიმალური ჩარევა: მეორე „ქუემოთ“-ის სრულად ამოღების ნაცვლად, გადამწერის შეცდომის მართივად გასწორება „ქუემოთ“-ის ნაცვლად „ზემოთ“-ის აღდგენით. ტექსტის აღნიშნული მონაკვეთი შემდეგნაირად უნდა აღდგეს:

„მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალსა ქუემოთი კერძი ყოველი. და დაიპყრეს [ზ]ემოთ ეგრისწყლისითგან ვიდრე ციხე გუჯადმდენ“.

## დასკვნა

წინამდებარე სტატიაში, ძველი ქართველთა ცხოვრების დასაწყისი მონაკვეთის ფარგლებში განვიხილეთ ტექსტის სხვადასხვა დროის გამოცემებში ხელნაწერების ცალკეული შერყვნილი მონაკვეთების აღდგენა-გააზრების ზოგიერთი ასაკითხი და წარმოვადგინეთ ამავე მონაკვეთების სწორი წაკითხვები.

მიგვაჩნია, რომ თითოეული ეს გასწორება მნიშვნელოვანია ტექსტის ადეკვატური გაგებისა და, შესაბამისად, თხზულების აღნიშნულ მონაკვეთებში დაცული ინფორმაციის ადეკვატური აღქმის თვალსაზრისით.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

*akhali kartlis tskhovreba*. (2017). t'ekst'i gamosatsemad moamzada, shesavali da sadzieblebi daurto goneli arakhamiam, tbilisi. *ახალი ქართლის ცხოვრება*. (2017). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და სამიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბილისი.

arakhamia, g. (2002). *kartlis tskhovrebis p'irveli mat'iane*. tbilisi. არახამია გ (2002). *ქართლის ცხოვრების პირველი მატანე*. თბილისი.

berdzenishvili, d. (2007). dzveli sakartvelos tsikheshimagreta zogierti sakheoba ts'erilobiti dzeglebis mikhedvit. *analebi NI*. tbilisi. ბერძენიშვილი, დ. (2007). ძველი საქართველოს ციხესიმაგრეთა ზოგიერთი სახეობა წერილობითი ძეგლების მიხედვით. *ანალები NI*. თბილისი.

Dondua, k. (1930). *K voprosu o roditelnom èmfatičeskom v drevneliteraturnom gruzinskom iazyke*. Izvestiâ AN SSSR. Leningrad. (Дондуа, К. (1930). *К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском языке*. – Известия АН СССР. Ленинград.

dondua, k'. (1967). *K voprosu o roditelnom èmfatičeskom v drevneliteraturnom gruzinskom iazyke*. *rcheuli nashromebi*, I. tbilisi; *К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском языке*. (დონდუა, კ. (1967). *К вопросу о родительном эмфатическом в древнелитературном грузинском языке*. *რჩეული ნაშრომები*, I. თბილისი;

Ingoroqva, p'. (1939). „kartuli mts'erlobis ist'oriis mok'le mimokhilva“ (ant'ik'uri khanidan) *mnatobi*, №10-11. tbilisi. ინგოროყვა, პ. (1939). ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (ანტიკური ხანიდან). *მნათობი*, №10-11. თბილისი.

*kartlis tskhovreba* (dzveli kartvelta tskhovreba). (1996). gamosatsemad moamzades, ts'inasit'qvaoba da t'ermina ganmart'eba daurtes i. antelavam da n. shoshiashvilma. tbilisi. (*ქართლის ცხოვრება* (ძველი ქართველთა ცხოვრება). (1996). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა. თბილისი.

*kartlis tskhovreba dasabamitgan meattskhramet'e sauk'unemdis*. (1849). targmnili da gamotsemuli ghvats'lita u. brose, ts'evris rusetis sametsniero ak'ademiisa. nats'. I dzveli motkhroba 1469 ts'lamde krist'es aket. sp'b. (*ქართლის ცხოვრება დასაბამითგან*



*მეათცხრამეტე საუკუნემდის*. (1849). თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა უ. ბროსე, წევრის რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა. ნაწ. I ძველი მოთხრობა 1469 წლამდე ქრისტეს აქეთ. სპბ).

*kartlis tskhovreba dasabamitgan meattskhramet'e sauk'unemdis*. (1854). nats'. II. akhali motkhroba 1469 ts'lidan 1800 ts'lamde gamotsemuli d. chubinovisgan. sp'b. (*ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის*. (1854). ნაწ. II. ახალი მოთხრობა 1469 წლიდან 1800 წლამდე გამოცემული დ. ჩუბინოვისგან. სპბ).

*kartlis tskhovreba*. (1906). mariam dedoplis variant'i. gamotsemuli e. taqaishvilis redakt'orobit. t'p. (*ქართლის ცხოვრება*. (1906). მარიამ დედოფლის ვარიანტი. გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ).

*kartlis tskhovreba*. (1955, 1959). t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. t'. I, t'. II. tbilisi. (*ქართლის ცხოვრება*. (1955, 1959). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, ტ. II. თბილისი).

*kartlis tskhovreba*. (2008). mtavari redakt'ori roin met'reveli, tbilisi. (*ქართლის ცხოვრება*. (2008). მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბილისი).

*kartlis tskhovreba. ana dedopliseuli nuskha*. (1942). dasabech'dad moamzada pilologiis ganqopilebam s. qaukhchishvilis redaktsiit. tbilisi. (*ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა*. (1942). დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი).

*kartlis tskhovrebis dzveli somkhuri targmani*. (1953). t'ekst'i gamosatsemad moamzada, ts'inasi't'qvaoba da k'oment'arebi daurto i. abuladzem, tbilisi. (*ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*. (1953). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი).

k'ek'elidze, k'. (1974). leont'i mrovelis lit'erat'uruli ts'qaroebi. *et'iudebi XII*. კეკელიძე, კ. (1974). ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. *ეტიუდები XII*).

khorenatsi, m. (1984). *somkhetis ist'oria*. dzveli somkhuridan targmna, she-savali da k'oment'arebi daurto aleksandre abdaladzem. tbilisi. (ხორენაცი მ. (1984). *სომხეთის ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი).

kurtsik'idze, ts. (1993). „kartlis tskhovrebis“ mariamiseuli khelnats'eris she-sakheb. *matsne, enisa da lit'erat'uris seria*. 3-4. tbilisi. (ქურციკიძე, ც. (1993). „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ხელნაწერის შესახებ. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 3-4. თბილისი).

mamulia, g. (1979). k'lasobrivi sazogadoebis da sakhelmts'ipos chamoqalibeba. tbilisi. (მამულია, გ. (1979). კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თბილისი).

Melikišvili, G. (1959). *K istorii drevnej Gruzii*. Tbilisi. (Меликишвили, Г. (1959). *К истории древней Грузии*. Тбилиси).

*moktsevai kartlisai*. (1963). dzveli kartuli agiograpiuli lit'erat'uris dzeglebi. ts'igni I. il. abuladzis redaktsiit. tbilisi. (*მოქცევაჲ ქართლისაჲ*. (1963). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I. ილ. აბულადის რედაქციით. თბილისი).

muskhelishvili, d. (1966). *tsikhe-kalaki ujarma*. tbilisi. (მუსხელიშვილი, დ. (1966). *ციხე-ქალაქი უჯარმა*. თბილისი).

muskhelishvili, d. (1967). k'akhet-heretis politikuri geograpiis sak'itkhebi. *sakartvelos ist'oriuli geograpiis sak'itkhebi, III*. tbilisi. (მუსხელიშვილი, დ. (1967). კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, III*. თბილისი).

qaukhchishvili, t. (1957). *st'rabonis geographia: tsnobebi sakartvelos shesakheb*. tbilisi. (ყაუხჩიშვილი, თ. (1957). *სტრაბონის გეოგრაფია: ცნობები საქართველოს შესახებ*. თბილისი).

S-30. korneli kekelidzis saqartvelos khelnatserta erovnuli tsentri. S-30. კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

sanadze, m. (2001). „*kartlis tskhovreba*“ *da sakartvelos ist'oriis udzvelesi p'eriodi (kartlosidan mirianamde)*. tbilisi. სანაძე, მ. (2001). „*ქართლის ცხოვრება*“ და *საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე)*. თბილისი.

sanadze, m. (2001b). juansher juansheriani da misi moghvats'eobis khana. *tbilisis sakhelmtsipo universitetis shromebi*. ist'oriis seria. №338. tbilisi. სანაძე, მ. (2001ბ). ჯუანშერ ჯუანშერიანი და მისი მოღვაწეობის ხანა. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. ისტორიის სერია. №338. თბილისი.

sanadze, m. (2016). *kartlis mepēebisa da p'at'rik'iosebis kronologia (parnavazidan ashot' k'urap'alat'amde)*. kartvelta tskhovreba. ts'igni III. tbilisi. (სანაძე, მ. (2016). *ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე)*. *ქართველთა ცხოვრება*. წიგნი III. თბილისი).

sanadze, m. (2019). *shesavali kartvelta tskhovrebashi. kartvelta tskhoveba*. ts'igni I. tbilisi. (სანაძე, მ. (2019). *შესავალი ქართველთა ცხოვრებაში. ქართველთა ცხოვრება*. წიგნი I. თბილისი).